ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№2(106)

თებერვალი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებს მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შენობა-ნაგებობებზე აუცილებელი სამუშაოების განხორციელების უფლება მიეცათ

27 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 9 საკითხი განიხილეს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

დავით ახლოურის საღამო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

5

რა უნდა ვიცოდეთ სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამის შესახებ

7

25 თებერვალს 102 წელი შესრულდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან

წელს, 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან 102 წელი შესრულდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, დროშები დაეშვა საქართველოს ადმინისტრაციულ შენობებზე და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

ამ სევდიან დღეს კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს ოკუპაციის მსხვერპლთა, სამშობლოსათვის სიცოცხლის დამთმობთა სახელსა და ხსოვნას, მით უმეტეს, რომ ეს ოკუპაცია, თავისი სისხლიანი კვალით, დღემდე გრძელდება.



ამ დღეს ახალგორელები, სხვა გმირებთან ერთად, მოწიწებით ვიხსენებთ ქსნის ერისთავების შთამომავალს, იუნკერ შალვა ერისთავს – რომელიც 1921 წლის 24 თებერვალს რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ სამშობლოს დასაცავად გამართულ ბრძოლაში დაეცა გმირულად. მან, ტაბახმელასთან, საკუთარი სიცოცხლის ფასად გააუვნებელყო პოზიცია, რითაც თანამებრძოლებს კონტრშეტევის წარმატებით დასრულების საშუალება მისცა.

ამ ტრაგედიიდან თითქმის 100 წლის შემდეგ, 2019 წლის 22 თებერვალს რუსეთისაგან ოკუპირებულ ახალგორში ადგილობრივი საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს არჩილ ტატუნაშვილი, რომელიც 23 თებერვალს ცხინვალში წამებით მოკლეს...

ახალგორელებმა და სრულიად საქართველომ გულწრფელად დაიტირა და ხსოვნის ძეგლიც დაუდგა ჩვენი დროის გმირს, რომლის სახელიც უკვდავებით შეიმოსა. არჩილი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული. ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში კი, მისი სახელობის სკვერში, სიმწვანეს მარადიული ნამი რომ ახლავს, ეს დედის ცრემლებია, თანასოფლელთა მარადიული ხსოვნა და მუდმივი შეხსენებაა, რომ რუსეთი ოკუპანტია!

მარადიული დიდება გმირებს!

გაიმართა სამუშაო შეხვედრა

28 თებერვალს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან და მუნიციპალიტეტის ყველა თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა დეტალურად განიხილეს სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, მათ შორის პრიორიტეტული საკითხები. საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები ეტაპობრივად ყველა სამსახურთან გაიმართება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა წილკნისა და ფრეზეთის ბაგა-ბაღები მოინახულა

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებს მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შენობა-ნაგებობებზე აუცილებელი სამუშაოების განხორციელების უფლება მიეცათ

პირველი გვერდიდან

განსახილველ საკითხთა შორის იყო „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებში შენობა-ნაგებობების შეკეთებასა და აღდგენას.

მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული წინასწარი შესწავლის შედეგად, სულ გამოვლინდა 1263 ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც ამახინჯებს მუნიციპალიტეტების იერსახეს და საჭიროებს შეკეთებასა და რეკონსტრუქციას, ზოგ შემთხვევაში კი, – დემონტაჟს.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება, განახორციელონ მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ შენობა-ნაგებობების შეკეთების, რეკონსტრუქციისა თუ დემონტაჟის აუცილებელი სამუშაოები, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან პრობლემას ქმნიან უსაფრთხოების კუთხით.

ამ მიმართულებით აუცილებელ სამუშაოებს მუნიციპალიტეტები უკვე მიმდინარე წელს დაიწყებენ.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილთან ერთად, წილკანისა და ფრეზეთის ბაგა-ბაღები მოინახულა.

ბაგა-ბაღების გაერთიანების უფროსმა ნუგზარ პაპუნაშვილმა, მენეჯერებმა და თანამშრომლებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. მათ შორის საუბარი შეეხო არსებულ საჭიროებებსა და პრიორიტეტულ საკითხებს.

შეხვედრის ბოლოს გელა შერმადინმა და თამაზ ბალაშვილმა ბაგა-ბაღების თითოეულ თანამშრომელს განხორციელებული საქმიანობისა და ბავშვებზე ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადეს და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს.

სახელმწიფო მინისტრმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა არჩილ ტატუნაშვილის სსოვნას პატივი მიაგეს

22 თებერვალს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებიდან 5 წლისთავთან დაკავშირებით, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გელა შერმადინი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ ტატუნაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს და მისი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ გამოუცხადეს თანაგრძნობა.

“დღეს ჩვენი დროის გმირის არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების დღეა.

მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, პატივს მივაგებ მის ნათელ ხსოვნას.

სამშობლოსათვის მისი თავდადება ის მაგალითია, რომელზეც არაერთი თაობა აღიზრდება”. - განაცხადა თამაზ ბალაშვილმა.

ნუგზარ ფსუტურის გარდაცვალებიდან 11 წელი გავიდა

„ნუგზარ ფსუტური განუმეორებელი მოვლენაა ქართულ ხალხურ საშემსრულებლო ხელოვნებაში. ეს განუმეორებლობა მისი ცხოვრების წესშიც იჩენს თავს. მრავალწახნაგოვანია მისი შემოქმედება: ნუგზარი სოლისტი, მომღერალი, ნუგზარი უბადლო პარტნიორი, შესანიშნავი ლოტბარი, ბრწყინვალე სელექციონერი და შესანიშნავი თვითმოქმედი კომპოზიტორი, რომლის სიმღერებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო დიდი სიყვარულით მღერის და ბევრს იბი ხალხური ჰგონია“.

კომპოზიტორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი
გომარ სიხარულიძე

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით არიან აღვსილნი, არა მარტო თავიანთი ნიჭისა და პროფესიის, ან სამსახურის, არამედ უბრალოების, თავმდაბლობის, კეთილი ბუნებისა და ხასიათის გამო. ნუგზარ ფსუტურის ახალგორელობა ხომ თითოეულ ახალგორელს სიამაყით აღავსებს... მას ყველა იცნობდა – სიმღერისა და მუსიკის მოყვარულიც და ისინიც, ვინც უბრალოდ იცნობდა ნუგზარ ფსუტურს, ღიმილიანს, ალალს, უპრეტენზიოს, ძალიან უბრალოსა და უბადლო იუმორის პატრონს. ამასთან დიდი ნიჭისა და არაჩვეულებრივი ტემბრის ხმის მომღერალს. მან ახალგაზრდობაში შექმნა ვოკალური ანსამბლი, რომელიც მაშინვე ახალგორის სავიზიტო ბარათად იქცა.

ადრეულ წლებში ვკითხე, რაიმე კურიოზი თუ ახლდა შენს ცხოვრებას ან შემოქმედებას-მეთქი და ანაო, იმაზე დიდი კურიოზი რა უნდა ყოფილიყო, ისე დავამთავრე მუსიკალური სასწავლებელი, პედაგოგებმა არ იცოდნენ, რომ ვმღეროდიო... გამიკვირდა... მერიდებოდაო, დასძინა.

ცეცხლი თივაში ხომ ვერ დაიმალება და მისი ნიჭი ყველგან გამოკრთა, გაკაშკაშდა და სიმღერად იქცა მთელი მისი ცხოვრება...

როდესაც ათენში ვცხოვრობდი, საკონცერტოდ მივიწვიე ნუგზარ ფსუტური და ეთერ თათარაიძე.

ნუგზარ ფსუტურის გარდაცვალებიდან 11 წელი გავიდა

მე-3 გვერდიდან

ათენის ცნობილი თეატრი „ალმა“ მასპინძლობდა ცნობილ ქართველ ფოლკლორისტებს... ნუგზარის „ლალეს“ ტაშითა და ფეხზე ადგომით შეხვდა არამარტო ყველაფერ ქართულს მონატრებული ემიგრაცია, არამედ უცხოელი მაყურებელი და მსმენელი... იდგა წითელ ჩოხიანი კაცი სცენაზე, მღეროდა და თვალებში არგადმოსული ცრემლი უბრწყინავდა, რადგან 2008 წელი იდგა და ჩვენი თვალსამოთხე ახალგორი ოკუპირებული იყო...

და სწორედ ახალგორის, თავისი სათაყვანო იკოთის გარეშე ვერ შეძლო ცხოვრება... ვერ გაძლო იმ გარემოს გარეშე, სადაც დაიბადა, გაიზარდა, სადაც თავისი ბულბულა ხმით ღიღინებდა და დიდ სცენაზე გამოსასვლელად ემზადებოდა....

ნუგზარ ფსუტურის ხსოვნა მის ღირსეულ შთამომავლობაში, მის მიერ დაარსებულ ახალგორელთა ფოლკლორულ ანსამბლ „ლომისში“ და მის სიმღერებში გრძელდება, რომლებსაც მთელი საქართველო მღერის... დაე, იმღერონ!

ცეკვა „ქართული“

ხალხით გადაჭედილი კინოთეატრიდან მუსიკის ჰანგები მთელ დაბას საამოდ ელამუნებოდა.

სცენაზე ცისფერი მტრედივით მოგოგმანე პატარა გოგონას თავს არწივივით მხრებგაშლილი, ოსურფაფახიანი ტანმაღალი ვაჟი დაჰფარფატებდა. გოგონას ცისფერი სატინისაგან შეკერილი ქართული კაბა შვენოდა, მთელს გულისპირზე ატლასის დიდი წითელი ყვავილებით მოჩითული. თავზე შავბარხატგადაკრულ, როკოკოს წითელ და მწვანე ყვავილებით მორთულ ჩიხტიკოპს მამიდას უხმარი ლეჩაქი კიდევ უფრო ულამაზებდა.

მაყურებელი სიყვარულით შეჰყურებდა პატარა მოცეკვავეებს. ერთ წრეზე ჩამოუარეს, გოგონა შედგა, ვაჟი გოგონასაკენ გვერდული სვლით მიემართებოდა, გასმებს აკეთებდა... პატარა გოგონა უცებ მოსწყდა ადგილს და კულისებს შეაფარა თავი.

– შემრცხვაა, – გულამოსკვნილი ასლუკუნდა.

– რატომ გამოიქეცი, რატომ? – ცრემლებს პატარა თითებით წმენდდა ვაჟი და აღელვებულ გოგონას ამშვიდებდა.

მას შემდეგ თითქოს საუკუნე გავიდა. ახლა აქ უკვე ტანკები გრუხუნებენ, ოფიცრები ჯარისკაცებს სათანადო ბრძანებებს აძლევენ, მოსახლეობა სადღაც გამქრალა, თავიანთი სახლისაკენ მიმავალი გზაც კი გაუცხოვებულა...

– როგორ შევიდე სახლში? – თითებს აწვალებდა სიმწრით ადრე ფარდის უკან ცეკვისას დარცხვენილი პატარა, ახლა უკვე შუახანს გადაცილებული ქალბატონი. შორი გზა მოიარეო, – გაახსენდა, ნაბიჯს მოუჩქარა. როგორმე უნდა შეესწრო ეზოში, სანამ უცხო ჯარისკაცები შეამჩნევდნენ... თითქმის გარბოდა. აგერ სახლის კიბეებიც... ერთი, ორი, სამი... ითვლიდა საფეხურებს, უკვე სახლშია, სამშვიდობოსაა... გაბედა და უკან მიიხედა, – ვიღაც მაღალი მამაკაცი სწრაფი ნაბიჯებით მისკენ მორბოდა. კარი შეაღო და, ის იყო, უნდა დაცემულიყო, რომ მაღალმა მამაკაცმა ხელი შეაშველა. ღმერთო ჩემო, ოსურფაფახიანი მამაკაცი, როგორც ცეკვისას კულისებში კვლავ ცრემლიან თვალებს უწმენდდა.

– დაწყნარდი, დაიკო, დაწყნარდი! სანამ აქ ვარ, ვერავინ შეგაშინებს. დაგინახე, მივხვდი, რომ შეგეშინდა და საშველად გამოვიქეცი.

– მე კი მეგონა, ვიღაც უცხო მომდევდა, ვერ გიცანი. შენ უკვე ორჯერ მომწმინდე ცრემლები, ცეკვის დროს და ახლა ომის დროს... – მორცხვად და ახლა უკვე ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა.

ისხდნენ მეგობრები მტვრითა და მოგონებებით სავსე ოთახში და იხსენებდნენ ბავშვურ, ახალგაზრდულ ტკბილ მოგონებებს, მშვიდობიან დაბაში გატარებულ სკოლის, შემდეგ სტუდენტურ წლებს.

გარეთ? გარეთ კი ჯარისკაცები და ბეტეერები ხმაურობდნენ.

„ასე მალულად, ასე შიშით, რამდენჯერ ავივლი კიდევ ჩემი ბინის საფეხურებს, რამდენჯერ შევარღვევ კიდევ ოთახებში აქეთ-იქით გაბმულ ობობათა ქსელებს?.. ახლა აქ ობობები ცეკვავენ ქართულს... რა მწარე რეალობაა! რა კარგი იყო სარაიონო ოლიმპიადაზე ნაცეკვი „ქართული“, – ფიქრობდა ქალი პატარა სამგზავრო ავტობუსში, რომელიც ფიქრის პატრონივით სევდიანად, ნაძალადევად მიუყვებოდა გზას ლტოლვილთა ახალი დასახლებისაკენ.

ლელა ზარიძე
11. 08. 2022 წელი

დავით ახლოურის საღამო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით, შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პოეტისა და ისტორიკოსის დავით ახლოურის საღამო ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში არსებული ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „ლომისი“.

შემოქმედებით საღამოზე დავით ახლოურმა ქსნის ხეობისადმი მიძღვნილი სამტომეული წარადგინა.

ამ დღეს დავით ახლოურს საქართველოს მწერალთა კავშირისგან გადაეცა „დავით აღმაშენებლის სახელობის დიპლომი „ძლევაი საკვირველი“ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსებისათვის, რომელიც პირადად ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გადასცა, ხოლო „მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანისგან“ მშვიდობის ალამდარის წოდება მიენიჭა.

ღონისძიების დასასრულს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა დავით ახლოურს ქსნის ხეობის სამადლობელი სიგელი გადასცეს.

საღამოს შემდეგ დავით ახლოურმა ფეისბუკში პოსტი გამოაქვეყნა:

„მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვეცდები, რომ ამ სამადლობელის ღირსი ვიყო...

ჩემთვის ქსნის ხეობა ჩემი მშობელი ხალხია, მისი ულამაზესი ბუნებაა, მთებზე შეფენილი სახლები და ნასახლარებია.

ჩემთვის ქსნის ხეობა წმინდა ნინოს ხნის სალოცავები და წინაპართა საფლავებია...

ჩემთვის ქსნის ხეობა შანშე ერისთავის მეამბოხე სულია, ქეთევანის, შალვას, ელიზბარის თავგანწირვაა და ვირშელ მესამის თემურ-ლენგთან გამარჯვება...

ჩემთვის ქსნის ხეობა ქვენიფნეველ-ბანდაისძეთა ფასდაუდებელი ღვაწლია, ალევის სამების ოქროს კარებია და დროის მტარვალ ხელს დღემდე გადარჩენილი საძეგურის განძი.

ჩემთვის ქსნის ხეობა კაბენის კედელზე ამოქარგული ადარნასე მეფის უმშვენიერესი ასულის – ლატავრას წარწერაა.

ჩემთვის ქსნის ხეობა ქარჩოხის ციხიდან ექოდ მომდინარე დიდი მოურავის შეძახილია და ღვთის მადლით კურთხეული ფუძე-კარი გიორგი ერისთავისა...

ჩემთვის ქსნის ხეობა ნუგზარ ფსუტურის ჯადოსნური ხმაა, მანანა ჩიტიშვილის საუფლო ლექსია და სადღეგრძელოც ამასთან ერთად – ცხვარ-მეცხვარის გზასავალს გაუმარჯოსო!

ჩემთვის ქსნის ხეობა უკვდავებასთან წილნაყარი 19 წლის ლევან მიდელაშვილი და ქედმოუხრელი ლომგულა ბიჭი არჩილ ტატუნაშვილია...

ჩემთვის ქსნის ხეობა დედაჩემის სულია, სული, რომელიც ყოველდღე ქარჩოხში მელოდება...

ჩემთვის ქსნის ხეობა მარადიულად თანმდევი ბავშვობაა, ყოჩივარდების ყვავილობაა და ხავსმოკიდებულ ნიშის ქვაზე დანთებული სანთელი...

ჩემთვის ქსნის ხეობა საგიორგობო ზედაშეა და სოფლის დეკანოზის დამწყალობება...

დასასრული მე-10 გვერდზე

ანა ახლოური მოსწავლეებს სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე ესაუბრა

ანა ახლოური სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდა ელჩია, რომელიც მცხეთა-მთიანეთში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და იკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში საქმიანობს.

22 თებერვალს ანამ საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის ორგანიზებაში მას ამავე სკოლის დირექტორი და სამოქალაქო განათლების პედაგოგი დაეხმარნენ.

შეხვედრაზე დაისვა კითხვები სოციალურ მეწარმეობაზე, – რას გულისხმობს სოციალური მეწარმეობა და რა გამოწვევებს პასუხობს. ანამ მიმოიხილა წარმატებული სოციალური საწარმოების მაგალითები, რომლებიც ჩვენს დასახლებაშიც არაერთია.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს ახალგაზრდების ჩართულობის და ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე, როგორც სოციალური მეწარმეობის, ასევე არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობის მიმართულებით.

სიკეთე

ზამთრის სიცივე და დიდთოვლობა ბევრი პრობლემას გვიქმნის, განსაკუთრებით – სოციალურად დაუცველ და გაჭირვებულ ოჯახებს. ახალგორის მუნიციპალიტეტი შესაძლებლობის მიხედვით ეხმარება მათ. ამ სეზონზე ახალგორის მუნიციპალიტეტმა, სერვისცენტრის დახმარებით (ხელმძღვანელი ბონდო ყველაშვილი) სამ უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახს შეშა მიუტანა საჩუქრად.

წელს მოსულმა უხვმა თოვლმა მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა საავტომობილო გზებზეც. დიდთოვლობის დროს ფრეზეთის დასახლებაში საავტომობილო და შიდა გზების გაწმენდის სამუშაოები ჩატარდა. დაყრილია ტექნიკური მარილი, რის შედეგადაც ავტოტრანსპორტის გადაადგილებასთან შექმნილი პრობლემები აღმოფხვრილია.

ასევე, სერვისცენტრის თანამშრომლების ინიციატივით, წილკნის დევნილთა დასახლებაში მოეწყო დასუფთავების აქცია. „როგორც წილკნის, ასევე წეროვნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში, დასუფთავების შემდეგ, ნარჩენების გატანა ხდება სპეციალური ტექნიკის დახმარებით. ასევე, გვეხმარება მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური,” – აღნიშნა ბონდო ყველაშვილმა.

სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ ოჯახებზე, ზოგადად, მოსახლეობაზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტია, ამიტომაც მსგავსი სახის აქტივობები მომავალშიც გაგრძელდება, – აცხადებს ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

უფასო სამედიცინო კონსულტაციები

ამ დღეებში ტრადიციად ქცეული უფასო სამედიცინო კონსულტაციები გრძელდება. ამჯერად „თბილისის გულის ცენტრის“ პროფესიონალმა ექიმებმა წეროვნის დევნილთა დასახლებაში ახალგორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით უფასო გამოკვლევების აქცია ჩაატარეს და გარდა კარდიოლოგიური გამოკვლევებისა, ექიმებმა ასამდე პაციენტს საჭიროებისამებრ საჩუქრად გადასცეს მედიკამენტები.

ასევე უფასო კონსულტაციები გამართეს ჯავრიშვილის სახელობის თვალის მიკროქირურგიული კლინიკა „ოფთალმიჯის“ ექიმებმა, ხოლო ექიმ-ტრავმატოლოგ ვაჟა გაფრინდაშვილისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ინიციატივით ახალგორელებმა მიიღეს სხვადასხვა კლინიკებიდან მოწვეული პროფესიონალი ექიმების კონსულტაციები. ამ აქციის ფარგლებში წეროვნის დევნილთა დასახლებას ეწვივნენ თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, გასტროენტეროლოგი, ბავშვთა კარდიოლოგი, ნეიროქირურგი, ტრავმატოლოგი და ყელ-ყურის ექიმი.

რა უნდა ვიცოდეთ სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

რას გულისხმობს სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამა?

პროგრამა სოციალურად დაუცველ პირებს სთავაზობს რამდენიმე ალტერნატივას:

- საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას;
- ღია შრომის ბაზარზე ატვირთულ ვაკანსიას;
- თუ დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზებას;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩართვას.

პროგრამაში ჩართვით სოციალურად დაუცველი პირი იღებს საშეღავათო პირობებს - 4 წლის განმავლობაში და მისი სოციალური სტატუსი არ გადამოწმდება.

ვის შეუძლია საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ, 18 წლის და უფროსი ასაკის პირს საპენსიო ასაკამდე, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს.

მსურველები არ უნდა იყვნენ პარალელურად დასაქმებულები კერძო სექტორში ან თვითდასაქმებულები.

ვის და რომელ დამსაქმებლებს შეუძლიათ საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში ვაკანსიების მოწოდება?

საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ ვაკანსიების მოწოდება შეუძლია, სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ან მის მმართველობის სფეროში მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ასევე, საჯარო სამართლის პირს ან სხვა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს.

რა გამოცდილება, კვალიფიკაცია და განათლება სჭირდება საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვისთვის მოქალაქეს?

საზოგადოებრივი სამუშაოს მსურველ პირებს პროგრამაში ჩასართავად არ სჭირდებათ გამოცდილება, კომპეტენცია ან შესაბამისი განათლება. სამუშაოების მიზანია მოქალაქეებს შემოსავლების ზრდის პარალელურად, სამსახური მათ შრომითი უნარების გამომუშავებასა და გამოცდილების დაგროვებაში დაეხმაროს.

როგორი ვაკანსიებია საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში?

საზოგადოებრივი სამუშაოები გულისხმობს მაგალითად: ბიბლიოთეკარის დამხმარეს, მეტყევე, მეეზოვე, სკოლის დამლაგებელი, მზარეულის არაკვალიფიციური დამხმარე, ზედამხედველის დამხმარე, დარაჯი, კურიერი, ტერიტორიების კეთილმოწყობის გამწვანებისა და დასუფთავების თანამშრომელი და ა. შ.

შეუძლია თუ არა სოციალურად დაუცველი ოჯახის რამდენიმე წევრს ერთდროულად ჩაერთოს საზოგადოებრივ სამუშაოებში?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია ოჯახის ერთ ან მეტ წევრს. რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ტერიტორიულად სად შეუძლია დასაქმდეს პროგრამით მოსარგებლე პირი?

სოციალურად დაუცველ პირს საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია იმ მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია და იღებს სოციალურ გასაცემელს.

როგორი სამუშაო გრაფიკია საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოცხადებულ ვაკანსიებზე?

საზოგადოებრივი სამუშაოებში ჩართვის მსურველ პირებს შეუძლიათ დასაქმდნენ სრული ან ნახევარი განაკვეთით. მაგალითად: სრული განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

ა) კვირაში 5 სრულ სამუშაო დღეს, სტანდარტული 5-8 საათიანი გრაფიკით (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად);

ბ) კვირაში 7 არასრულ სამუშაო დღეს არასტანდარტული 3-4 საათიანი გრაფიკით;

გ) მოქნილი სრული განაკვეთის შემთხვევაში კვირაში 4-5 სამუშაო დღე 8 საათიანი გრაფიკით;

დ) 4 დღეში ერთხელ მუშაობა 24 საათიანი გრაფიკით;

ნახევარი განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

ა) კვირაში 5 სამუშაო დღეს 4 საათიანი გრაფიკით; (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად)

ბ) თვის განმავლობაში დღე-მონაცვლეობით მუშაობას 8 საათიანი გრაფიკით;

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის დროს სოციალური გასაცემელი სრული განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით, ნახევარი განაკვეთით დასაქმების შემთხვევაში კი, 150 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, მოქალაქე სრული განაკვეთით მუშაობისას განსაზღვრული 20 დღის ნაცვლად იმუშავებს ათ დღეს, მიიღებს ათი დღის სოციალურ გასაცემელს.

სად მოხდება დასაქმებული პირის მიერ გამომუშავებული თანხის დარიცხვა?

სოციალური გასაცემელი დაირიცხება იმ საბანკო ანგარიშზე, რომელზეც ირიცხება სოციალური შემწეობა.

მოეხსნება თუ არა რომელიმე სოციალური შეღავათი იმ პირს, ვინც საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაერთვება?

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. სტატუსის ჯავშანი შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის ღია შრომის ბაზარზე გადამისამართდება და უფრო მაღალ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმდება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის შემდეგ, პროგრამით მოსარგებლე პირს შეუძლია თუ არა პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართულ პირს პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით მოსარგებლე პირი მოისურვებს უკეთესი ანაზღაურების მქონე

დასასრული მე11 გვერდზე

ჩვენი შვილები

3 მარტი დედის დღეა. ეს დღე ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა 1991 წელს და მას შემდეგ ზეიმით აღინიშნება. დედა ხომ სიცოცხლის საწყისია...

საქართველოში დედობა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საქმიანობაა. დედას, შვილის მოვლა-პატრონობასთან ერთად აღმზრდელობით ფუნქციაც აკისრია. დედის როლი მნიშვნელოვანია, შვილებს იმედს უსახავენ, პატარა წარმატებისგან ოცნების კოშკებს ქმნიან, დედა აყვარებს შვილს სამყაროს, სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას. დედის განწყობა, მისი პიროვნული გავითარება და მისწრაფება, სოციალური მდგომარეობა, ხშირად ჩვენი ცხოვრების ხარისხს, ფსიქოლოგიურ პორტრეტს განსაღვრავს. დედას შეუძლია ქართული ღირებულებებით აღზარდოს შვილი სამართლიან, თავისუფალ, პატიოსან, კეთილ ადამიანად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალები ოჯახისაგან და შვილებისაგან შორს ცხოვრობენ, 24-საათიან სამუშაოს ასრულებენ და უამრავი გამოწვევისა და იმედგაცრუების მიუხედავად, მაინც იმედიანად უყურებენ შვილების მომავალს, იმაზე მეტ ძალასა და ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე შეუძლიათ.

არ დარჩენილა ქვეყნად არცერთი ბრძენი და არც უბრალო ადამიანი, დედისადმი მადლიერება რომ არ გამოეხატა...

ამჯერად ჩვენი გაზეთის მკითხველები პირიქით, დედის აზრებს წაიკითხავენ თავიანთი შვილების შესახებ.

მარი ქასოშვილი, დიასახლისი, 6 შვილის დედა:

– ჩემი ექვსივე შვილი სხვადასხვა ხასიათისა და მისწრაფებისაა. უფროს ბიჭს, თემოს, უყვარს და თამაშობს ფეხბურთს, ანა დადის ქართულ ხალხურ ცეკვაზე, ბარბარე გატაცებულია ხელსაქმით, მართა და სოფია დადიან ტანვარჯიშზე. პატარა ნორიკოს კი სიმღერა უყვარს.

ჩემი მეუღლე გახლავთ კახა ბიტიაშვილი. თბილი, შეხმატკბილებული ოჯახი გვაქვს და მიმაჩნია, რომ ოჯახური ბედნიერება, სიყვარულთან და ურთიერთგაგებასთან ერთად სწორედ მრავალშვილიანობაა... ვსარგებლობ შემთხვევით და დედის ღამაზ დღესასწაულს ვუღოცავ ჩემს ახალგორელ ქალბატონებს საუკეთესო სურვილებით.

ნანა ზანგური, ფრეზეთის საბავშვო ბაბა-ბაღის თანამშრომელი:

– ორი შვილი მყავს, ორი მზის სხივი – გიორგი და იზა ბალხამიშვილები.

გიორგი ახალდაბის საჯარო სკოლის მე-11 კლასელია. კარგად სწავლობს, მიზანდასახული და ხალისიანია, მეგობრული, უბოროტო.

იზა ილიას უნივერისიტეტის წარჩინებული სტუდენტია, ლიტერატურა და პოეზია უყვარს ძალიან, ლექსებსაც წერს...

ორივე დედის გულის გამხარებელია...

ფიქრია ვადაჭკორია, დიასახლისი, 7 შვილის დედა:

– პირველ რიგში, ყველა დედას მივულოცავ ამ მშვენიერ დღეს. ვისაც ჯერ ეს სიხარული არ განუცდია, უფალმა მალე მისცეს ეს მადლი.

მე წარმოშობით გურული ვარ (ოზურგეთიდან), მაგრამ მოზარდობის ასაკში თბილისში გადმოვედით და იქ ერთ ტაძარში, რომელიც ნუცუბიძის პლატოზე მდებარეობს, გავიცანი ჩემი მეუღლე. ის მგალობელი იყო და ახლაც გალობს ზედაზნის მონასტერში. მე 19 წლის ვიყავი, ნიკოლოზი 21-ის, როცა ჯვარი დავიწერეთ. 15 წელი გავიდა და 7 შვილი მყავს. უფროსი, გიორგი, 14 წლისაა, მერე – საბა, თამარი, ერეკლე, იოანე, ანდრია და პატარა სიდონია, რომელიც მალე 2-ის გახდება. ჩვენი კეთილდღეობისთვის საჭიროა, რომ ყველანი უფლის მფარველობის ქვეშ მყავდნენ, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენთვის... მესამეს შემდეგ უწმინდესის ნათლულები არიან და ეს ჩვენთვის უდიდესი წყალობაა, რომ ასეთი მადლის ღირსნი გავხდით... ძალიან რთულ დროში მოუწიათ ჩვენს შვილებს ცხოვრება, ამიტომ აუცილებელია ბავშვი ღვთის წიაღში გაიზარდოს, რომ სწორ გზას დაადგეს. ჩვენი ყოველდღიური ამოცანა ეს არის, რომ სხვასაც რაღაცნაირად მცირედით მაინც მივცეთ მაგალითი, რომ თუ უფლის იმედი გაქვს, ყველაფერში შეგეწევა და მართლაც, ჩვენ ამას ყოველდღე ვგრძნობთ...

ბავშვების ნიჭს რაც შეეხება, ზოგი ცეკვავს, ზოგი მღერის, ზოგი სპორტსმენია,

თამარი ხელსაქმით არის დაკავებული.

არჩევანში თავისუფლები არიან, რაც მათ აინტერესებთ, ყველაფერში ვუწყობთ ხელს.

ქალისთვის უპირველესი ბედნიერების პირობა ისაა, რომ ჰყავდეს მეუღლე, რომელიც დაეხმარება გაზარდონ ერთად ისეთი შვილები, რომლებიც დაიცავენ თავიანთ რწმენას, ენას და სამშობლოს. ამაზე დიდი რაღა უნდა ვისურვო?.. რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა, რომ ეს ყველაფერი შევძლოთ!

ცირა მიდელაშვილი, ახალგორის სამუსიკო სკოლის პედაგოგი:

– ფოტოზე ჩემი ტყუპი მერვეკლასელი გოგონები – ანა და ნინო არხოშაშვილები არიან. კარგად სწავლობენ, უყვართ მუსიკა, სიმღერა, ცეკვა... სამუსიკო სკოლაშიც წარმატებით სწავლობენ, მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებასა და კონცერტებში. ამ ბოლო ხანს ხატვა დაიწყეს, თვითნასწავლები არიან და მაინც კარგად გამოსდით... პატარები იყვნენ ძალიან, როცა მამა გარდაეცვალათ... ჩემი ოჯახი მიდგას გვერდით... მინდა მათ ხალისიანი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ...

ნინო ჭარჭუსოვი, დიასახლისი, სამი შვილის დედა:

– ჩემი გოგონები მარი, ნანიკო და ანი რაჭველიშვილები წეროვნის მესამე საჯაროს კოლაში სწავლობენ მერვე, მეექვსე და მესამე კლასში... დებს ძლიან უყვართ ერთმანეთი, მარი და ნანიკო უმცროს დაიკოზეც ზრუნავენ. ცდილობენ, ყოველთვის გაახარონ. ეს ფოტოც ანას დაბადების დღეზეა გადაღებული, დებმა იზრუნეს, რომ პატარას ლამაზად გაეტარებინა ეს დღე.

რაც შეეხება მათ მისწრაფებებს, ანა ტანვარჯიზე დადის, ძალიან მოსწონს და ბედნიერია.

ნანიკოს კლასიკური მუსიკა მოსწონს და სამუსიკო სკოლაში წარმატებულია... მარი საოჯახო საქმეებში აქტიურად მეხმარება...

ჩემი აზრით, დედისთვის მთავარი მაინც ის არის, რომ შვილებს ბედნიერი ბავშვობა მისცეს და მეც ამას ვცდილობ.

დავით ახლოურის საღამო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

მე-5 გვერდიდან

ჩემთვის ქსნის ხეობა ჩემი შვილი და მისი შვილებია...

აქედანვე ვხედავ მამა-პაპის კერაზე ახმაურებულ ჩემს ჯიშსა და გენს!

ჩემთვის ქსნის ხეობა უსასრულობაა, უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ა...“

დავით ახლოურის პოეზია

* * *

მიმაქანებს ბედი, როგორც
წყალწითელა ტივტივებს...
მე რომ წავალ, ერთი გოგო
გულამოსკვნით იტირებს...
ჩამოყვება ტაძრის კედლებს
ცრემლი, მსგავსი თოვლისა...
წავალ, ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...
მივეცემი რაღაც ახალს,
რაღაც უცხოს, ღვთის ნებით...
მერე იქაც დამინახავთ,
სადაც აღარ ვიქნები.
მერე ზოგჯერ წვიმად მოვალ,
სხივად მოვალ ან მთვარედ...
გადაივლის როცა თოვა,
ქსანზე დამასაფლავეთ.
შემიმშრალეთ ქართლის ცრემლი,
ნუ დამტოვებთ თალხიანს,
იქ დამმარხეთ, სადაც ჩემი
პაპის პაპა მარხია,
რომ შემოვრჩე ცხმორის კედლებს
შეძახილად ლომისა...
წავალ... ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...

* * *

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ, ი მამული...
აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ვეღარც მოვიკითხეთ
ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

* * *

არც შენ ხარ მეფის ასული,
და არც მე - ერისთავიო,
მაგრამ ქსანზე რომ ჩავივლით,
ისე გვიჭირავს თავიო,
თითქოს და ჩვენ ვართ პატრონნი,
ჩვენი საუფლო არიო...
ისიც ღვთის ნება მგონია,
თმას რომ გიჩეჩავს ქარიო...

ფრაგმენტები ქსნის ხეობის წარსულიდან

8 Tebervals saqrTvelos parlamentis erovnul biblioTekaSi gamarTul daviT axlouris saRamoze moewyo misi wignis `qsnis xeobis istoriis~ samtomeulis prezentacia. vbeWdavT amonarids am wignidan.

ექვთიმე თაყაიშვილი და იკოთის საგანძური

ქსნის ხეობის ხშირი სტუმარი გახლდათ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიამ 1921—1945 წლებში საფრანგეთში გატანილი ჩვენი ეროვნული საგანძურის დაცვისთვის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი უწოდა. ცალკე საუბრის თემაა ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ იკოთთან. დიდმა მეცნიერმა ფიცხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგება ელმწიფის კარისა“, რომელიც სწორედ იკოთში უნახავს (ვრცლად იხილეთ, ცაგურიშვილი, 2007). ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო - ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი. მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგრამ გადარჩენილიც ფრიად ღირებული წყაროა.

ექვთიმემ ასევე იკოთში მიაკვლია ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობას, სხვა 35 სიგელ გუჯართან ერთად, რომლებიც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების” მუზეუმს დიდსულოვნად გადასცა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედამ... ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საგანძური ინახებოდა ქსნის ხეობის ამ უმშვენიერეს სოფელში... ამ საგანძურის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: „ბევრი გუჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურის სახლში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახავდით გიორგი XIII-ის მოწერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტერესო რამე მოიძევება”. ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ყურადსაღებია ის ნივთიერი კულტურა, რომელიც ახალგორის მოურავების ოჯახში ინახებოდა, მათ შორის ტყავზე დაწერილი „ვეფხისტყაოსანი” და ლურჯ ქაღალდზე ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს - იკოთელ ფიცხელაურის ქალს უჩუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის

სურათზე: ფიცხელაურების ციხე-კოშკი

დედის დღეს გილოცავ, დედა!

ამბობენ: ყველა საფლავი საფლავია დედის საფლავის გარდაო... დედა ხომ ერთადერთია და განუმეორებლი და რაოდენ გულსატკენია, როცა ის ახალგაზრდა იმ ქვეყნად მიდის და მის ერთას უდიდეს ტკივილს მიტოვებს. დედაჩემს გულიზა წილოსანს იმ ქვეყნად ვულოცავ დედის დღეს, ცრემლებით, ქვითინით და ჩურჩულით. მენატრები, დედა, ძალიან მენატრები, ძალიან მაკლიხარ...

ნათია მღებრიშვილი

ივერი ბაშარულის გახსენება

სამ მარტს 70 წლის გახდებოდა ივერი ბაშარული. კაცი უბოროტო, ბავშვივით გულწრფელი, ინტელექტუალი, ნიჭიერი, მეგობრების და სანათესაოს გული და სული. მუდამ გამოირჩეოდა უბადლო იუმორით, სხარტი გონებით, გულწრფელი დამოკიდებულებით ყველასთან და ყველაფერში... ახალგორში მაშინდელი საქსოფლტექნიკის ხელმძღვანელად და სოფლის მეურნეობის სამმართველოში მუშაობდა წლების მანძილზე, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ...

თბილი და ტკბილი ოჯახი ჰქონდა ნინო ბერიანიძესთან ერთად... ერთდაერთი საფიცარი ხატი ჰყავდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა, თუმცა მის ვერც გაზრდას მოესწრო და ვერ წარმატებებს...

დაბადების დღეს იმიერში გილოცავთ, ივერი...

მეგობრები

თანასოფლელები, მეზობლები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან

თემირი გიგნიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

მეორე კლასის მოსწავლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ მასწავლებელს გამოურთმევია და აღარ დაუბრუნებია... ილარიონის მონათხრობით, დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემდგომში მთავარეპიკოპოს დოსითეოზს „დაუტოვებია ორი შესანიშნავი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხელაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხვედრია და დუშეთის ეკლესიისათვის შეუწირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძლევია დოსითეოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიცხელაურს.”

დავით ახლოური, ქსნის ხეობის ისტორია, 2022

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება

გურამ ძებისაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რა უნდა ვიცოდეთ სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამის შესახებ

მე-7 გვერდიდან

ვაკანსიის მოძიებას გადამისამართდება კერძო სექტორში, ის საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამას ჩაეხსნება, თუმცა 4 წლიანი ჯავშანი და სხვა შეღავათები შეუნარჩუნდება.

სად/რომელ უწყებაში შეუძლია საზოგადოებრივი სამუშაოებით დაინტერესებულ პირს დაზუსტებული ინფორმაციის მიღება არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით? ვის უნდა მიმართოს დასაქმების მსურველმა?

პირველ რიგში, საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის მსურველი პირი აუცილებელია, რომ რეგისტრირებული იყოს პროგრამით მოსარგებლეთა ბაზაში. სამუშაოებში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, გაარკვიოს არის თუ არა პროგრამით მოსარგებლეთა სიაში. სტატუსის დაზუსტების შემდეგ კი ბენეფიციარს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს კონსულტანტი, შესთავაზებს მისი რეგისტრაციის შესაბამის ტერიტორიულ არეალში არსებულ ვაკანსიებს, ჩაუტარებს მოკლე აღწერას არსებული ვაკანსიისა და პროგრამის შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში მას გადაამისამართებს დამსაქმებელთან, მაგალითად: სკოლის დირექცია, აიპ, სსიპ ან მუნიციპალიტეტი. მხარეთა შეთანხმების შემდეგ ბენეფიციარს უფორმდება სამმხრივი სოციალური ხელშეკრულება და ერთვება პროგრამაში.

რა მოხდება თუ ბენეფიციარი თავისი ნებით უარს იტყვის საზოგადოებრივ სამუშაოზე?

პროგრამით მოსარგებლე პირი თუ თავისი ნებით ჩაეხსნება პროგრამას, ავტომატურად მას 4 წლიანი ჯავშანი გაუუქმდება და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. ასევე, თუ სოციალურად დაუცველი პირი არაჯეროვნად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას საზოგადოებრივი სამუშაოს ფარგლებში, მონიტორინგის სამსახური მოახდენს იდენტიფიცირებას და მასთან ხელშეკრულება შეწყდება.

ხოლო, თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება, თუმცა პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეიძლება. შესაბამისი ბენეფიტებით სარგებლობა პროგრამაში ჩართვის დღიდან იქნება შესაძლებელი. პროგრამიდან გამოთიშვის შემთხვევაში კი, მონაწილეობაზე უარის თქმის თვიდან, ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ავტომატურად გადამოწმდება.

ახალგორელი ძიუდოისტების წარმატება

დაბა ჟინვალში ჩატარდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ღია შეჯიბრი ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგორის სპორტსკოლის მოჭიდავეები. ჩვენმა ძიუდოისტებმა 16 მედალი აიღეს. მათ მოიპოვეს ერთი პირველი, 5 მეორე და 10 მესამე ადგილი (მწვრთნელები: გიორგი ფიცხელაური, დავით ილურიძე, ვაჟა კაკილაშვილი, დავით ოდიშვილი).

პირველი ადგილი მოიპოვა თემო მილაძემ. მეორე ადგილებზე გავიდნენ: მელთაური თორნიკე, ჯარმელიშვილი გიგა, ბეგაშვილი დავითი,კახნიაშვილი გიორგი, ზანგალაძე ვასო. მესამე ადგილები დაიკავეს: ლუკა ჯოხაძემ, რობი კახნიაშვილმა, საბა ქასოშვილმა, ჯონი ხეთაგურმა, ვალერი ბაშარულმა, ავთო მალიაძემ, საბა კახნიაშვილმა, ვატო მორბედაძემ, გიორგი ბეგაშვილმა და დათა ბერუაშვილმა.

ერთი დღე „მზის სხივებთან“

წეროვნის დევნილთა დასახლების ბაგა-ბაღში ყველა პირობაა შექმნილი, რომ პატარებმა ხალისით, შინაარსიანად და უსაფრთხო გარემოში გაატარონ მთელი დღე მზრუნველ, მოსიყვარულე აღმზრდელებთან ერთად.

ამ ფოტოებზე ჯგუფი „მზის სხივებია“ აღბეჭდილი. პატარები მერი მასწავლებელთან ერთად გულმოდგინედ ემზადებიან დედის დღისათვის. ცდილობენ, საყვარელ დედიკოებს ლამაზი სამკაულები დაუმზადონ...